

გაცვლითი კურსზე მოქმედი ფაქტორები

სალომე სულაბერიძე

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ეროვნული ვალუტის კურსის რყევაზე მოქმედი ფაქტორები და მისი გამომწვევი ძირითადი მიზეზები, ასევე მისი უარყოფითი შედეგები, რაც პრობლემას უქმნის ქვეყნის ეკონომიკას. ახსნილია მცურავი სავალუტო რეჟიმის მნიშვნელობა საქართველოსათვის.

განალიზებულია, რომ ლარის მკვეთრად გამყარება ან მკვეთრად გაუფასურება, ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებისათვის უფრო მეტად უარყოფითი შედეგების მომტანია ვიდრე დადებითის. შესაბამისად, მონეტარულმა ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ კურსი სტაბილურ ნიშნულზე შენარჩუნდეს. დასახულია პრობლემის გადაჭრის გზები და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული ვალუტა; ვალუტის კურსი; ექსპორტი; იმპორტი; ვალუტის გაუფასურება; ბიუჯეტი.

ძირითადი ტექსტი

ბოლო პერიოდში, დოლარის საგრძნობმა გამყარებამ და საქართველოს პარტნიორ სახელმწიფოების ვალუტების გაუფასურებამ აჩვენა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მოქნილი და ეფექტიანი სავალუტო პოლიტიკის განხორციელებას.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სავალუტო რყევებზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა და მისი რეგულირება.

ამ ფაქტორებს შორის, უნინარეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ **სავაჭრო ბალანსის** მდგომარეობა. თუ ექსპორტი სჭარბობს იმპორტს, ქვეყანაში მეტი უცხოური ვალუტა შემოდის, ვიდრე გადის. ამ შემთხვევაში, შიდა სავალუტო ბაზარზე მიწოდება მეტია მოთხოვნაზე და ეროვნული ვალუტის კურსი იზ-

რდება. თუ იმპორტი სჭარბობს ექსპორტს, უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა მეტია მიწოდებაზე და ეროვნული ვალუტის კურსი ეცემა. ჩვენი ეროვნული ვალუტის - ლარის სტაბილურობას ყოველთვის დიდ საფრთხეს უქმნიდა საქართველოს სავაჭრო ბალანსის დიდი დეფიციტი, რომლის ზრდა არაერთხელ ყოფილა მისი მკვეთრი გაუფასურების მიზეზი.

არსებობს გაცვლით კურსზე სავაჭრო ბალანსის გავლენის შემამსუბუქებელი გარემოებები, რომელთა რიცხვს განეკუთვნება **პირდაპირი უცხოური ინვესტიციები**. როდესაც ქვეყანა მიმზიდველია უცხოელ ინვესტორისათვის, ისინი იქ მეტ ფულს აბანდებენ, თანაც გრძელვადიან საინვესტიციო პროექტებში. რამდენადაც მათ თავიანთი პროექტების განსახორციელებლად ადგილობრივი ვალუტა ესაჭიროებათ, იზრდება მოთხოვნა ამ უკანასკნელზე (შესაბამისად, ბაზარს მეტი უცხოური ვალუტა მიეწოდება), რასაც ეროვნული ვალუტის კურსის გამყარება მოჰყვება. მაგალითად, ინვესტიციების ზრდას საქართველოში 2004-2007 წლებში ლარის მკვეთრი გამყარება მოჰყვა. პირიქით, კი, როდესაც ინვესტორები ტოვებენ ქვეყანას, იზრდება მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე ადგილობრივი ვალუტის საზიანოდ. ამის მაგალითია, ინვესტიციების გატანა რუსეთიდან 2014-2015 წლებში, რამაც ამ ქვეყნის ეროვნული ვალუტის - რუბლის მკვეთრ დევალვაციას შეუწყო ხელი.

გაცვლით კურსზე სავაჭრო ბალანსის არასასურველ ზემოქმედებას ნაწილობრივ ანეიტრალებს აგრეთვე **ფულადი გზავნილები**. საერთაშორისო ფულადი გზავნილები განვითარებად ქვეყნებში უცხოური ვალუტის შედინების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ამ ქვეყნებში უცხოეთიდან განხორციელებულ ფულად ჩარიცხვებს დიდი გავლენა აქვს დაბალშემოსავლიანი მოქალაქეების კეთილდღეობასა და ყიდვითუნარიანობაზე, ბიზნეს სექტორისა და ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.¹

¹ ანგურიძე ო. დოლონაძე ე. ჭარაია ვ. „საქართველოს ეროვნული ვალუტის უსაფრთხოების პრობლემა და თანამედროვე გამოწვევები“, 2015. 12 გვ.

აღსანიშნავია, რომ ფულადი გზავნილების ნაკადები უფრო სტაბილურია ვიდრე საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობა, რომელიც, თავის მხრივ, გარე და შიდა შოკებისადმი მაღალი მგრძნობელობით ხასიათდება. უფრო მეტიც, მიმდებარე ქვეყანაში არსებული კრიზისის დროს, ხშირ შემთხვევაში, ფულადი გზავნილების ნაკადები ზრდას განიცდიან და დაღმავალი ეკონომიკური ციკლის სანინალმდეგოდ მოქმედებენ. უმეტესი განვითარებადი ქვეყნებისთვის საერთაშორისო ფულადი ჩარიცხვები უცხოური ვალუტის მიღების და იმპორტის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროა.

ბოლო პერიოდში, ეროვნული ვალუტის გაუფასურების მიზეზს, სავაჭრო ბალანსის დეფიციტთან ერთად, ფულადი გზავნილების კლებაც წარმოადგენდა, რაც საზღვარგარეთ (მათ შორის რუსეთში, საბერძნეთში, უკრაინაში, თურქეთში და სხვა) განვითარებულმა კრიზისულმა მოვლენებმა განაპირობა.

ვალუტის კურსზე უმარავი ფაქტორი მოქმედებს, მათ შორის სეზონური მხოლოდ ტურიზმია. ვიზიტორები საქართველოში მოგზაურობის გადანყვეტილების მიღების დროს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მოსალოდნელ დანახარჯებს დოლარში, რაც გამყარებული დოლარის პირობებში შემცირებულია. აღნიშნული ფაქტორი მასტიმულირებელია მათთვის და შესაბამისად იწვევს ვიზიტორთა რაოდენობის ზრდას. მეტი საერთაშორისო მოგზაური ნიშნავს მეტი უცხოური ვალუტის შემოდინებას ქვეყანაში, რაც დადებითად აისახება ქვეყნის შემოსავლებზე, განაპირობებს ეროვნული ვალუტის გამყარებას.

ვალუტა უფასურდება, როდესაც მთავრობა **დეფიციტურ ხარჯვას** ახორციელებს და ფულს სესხულობს.

რამდენად რელევანტურია ეს არგუმენტი ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურების ასახსნელად? ამ კითხვაზე პასუხი გადის იმ მექანიზმის ახსნაზე, რომლის გავლითაც დეფიციტური ხარჯვა კურსს აუფასურებს, ეს კი ინფლაციაა. ანუ, როდესაც მთავრობა დეფიციტურ ხარჯვას ეწევა, ის ამ ფულს სესხულობს და ეკონომიკაში ფულის მასას ზრდის, რასაც მოყვება ინფლაცია, რომელიც, თავის მხრივ, იწვევს გაუფასურებას.

საქართველოს შეთხვევაში ბოლო წლების განმავლობაში, გარდა ინფლაციური არხისა, დეფიციტურ ხარჯვას სხვა კუთხითაც შეუძლია იმოქმედოს ვალუტის გაუფასურებაზე. ეს ხდება მაშინ, როდესაც მთავრობის ვალი იზრდება, რაც ამცირებს ინვესტიორების ნდობას, ვინაიდან არსებობს მოლოდინი, რომ მომავალში ვალის მომსახურებისთვის საჭირო იქნება გადასახადების ზრდა; ასევე, ვალის მომსახურებისთვის საჭირო იქნება მეტი ვალუტა. ბაზრის მოთამაშეების ასეთი პესიმიზმის გამო ვალუტის გაუფასურება მოსალოდნელია. უნდა აღვნიშნოთ, რომ მიმდინარე პერიოდში მთავრობის ვალი ზრდას განაგრძობს.

რაც შეეხება **ეროვნული ბანკის პოლიტიკას**, აქ ორი მოსაზრებაა: პირველი არის ის, რომ ეროვნულ ბანკს შეუძლია გამოიყენოს რეზერვები გაუფასურების შესაჩერებლად, ხოლო მეორე - ის, რომ ეროვნულმა ბანკმა არ შეამცირა ლარის მასა ეკონომიკაში, რაც გაუფასურებას დაეხმარა. რეზერვების გამოყენებით შესაძლებელია ვალუტაზე პანიკური შეტევების მომენტში რეაგირება და გაუფასურების დინამიკიდან (ტრენდიდან) გადახრების დაკორექტირება, რასაც ეროვნული ბანკი პერიოდულად აკეთებდა.

ამავე დროს, გაცვლითი კურსის შენარჩუნება მოითხოვს რეზერვების ხარჯვას ეროვნული ბანკიდან, რაც ამცირებს ლარის მასას ეკონომიკაში (როდესაც ეროვნული ბანკი დოლარს ყიდის, მას ლარი ამოაქვს ეკონომიკიდან), მაგრამ ლარის მასის შემცირებამ შესაძლოა გამოიწვიოს საპროცენტო განაკვეთების აწევა და დეფლაციური პროცესი, რაც, თავი მხრივ, დააზარალებს ეკონომიკას. აქედან გამომდინარე, მონოდებები ეროვნული ბანკისადმი ე.წ. არა სტერილური ინტერვენციების განხორციელების შესახებ (ანუ, როდესაც ეროვნული ბანკი დოლარის გაყიდვით ამოიღებს ლარს, თუმცა აღარ მოახდენს ეკონომიკაში ამავე მოცულობის ლარის მიწოდებას) ეკონომიკური ზრდის შეფერხების წინაპირობაა. შესაბამისად, როდესაც ეროვნული ბანკი არ ამცირებს ლარის მასას ეკონომიკაში დოლარის გაყიდვის პარალელურად, ეს ხორციელდება იმიტომ,

რომ საპროცენტო განაკვეთები არ გაიზარდოს, რაც უარყოფითად იმოქმედებდა ეკონომიკურ ზრდაზე, რომელიც მიმდინარე პერიოდში დაბალ ნიშნულზეა. აქედან გამომდინარე, ეროვნულ ბანკს ინტერვენციებით შეეძლო მხოლოდ მყისიერი რყევების შერბილება და არა გაუფასურების ტრენდის შეცვლა.

ლარის კურსის ცვლილებაზე ზემოქმედებს **სპეკულაციური შეტევაც**. ბაზრის აგენტები, რომლებიც სპეკულაციურ შეტევას ახორციელებენ, ასე იქცევიან თავიანთი მოლოდინების გამო.

შევაფასოთ მაგალითად ეს ლოგიკა 2016 წლის დეკემბერში მიმდინარე ლარის გაუფასურების მოვლენასთან მიმართებით, როდესაც მთავრობის წარმომადგენელმა ლარის გაუფასურება თურქული ლირას გაუფასურებით ახსნეს. ზოგიერთი სპეციალისტის მხრიდან გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს მხოლოდ გაუფასურების გადაბრალება იყო საგარეო ფაქტორებზე, ვინაიდან გაცვლით კურსზე მოქმედი არხის ამოქმედებას დრო სჭირდება და ასე მყისიერი ასახვა სხვა შიდა ფაქტორებით იყო გამოწვეული.

ეს პრინციპულად არასწორია, რადგან ბაზრის აგენტები ნებისმიერ დროს ეცდებიან გამოიყენონ თავიანთ ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია. თუ არსებობს მოლოდინი, რომ მომავალში ლარი გაუფასურდება, მაშინ რაციონალური აგენტი შეეცდება ამ შანსის რეალიზება დღესვე მოახდინოს და დღესვე დაიწყოს ლარის გაყიდვა და დოლარის შესყიდვა, რაც ლარს დღესვე გააუფასურებს (ეს იგივეა, მაგალითად, რომ მივიღოთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დღეიდან ორ თვეში ბენზინი გაძვირდება და რაციონალური ქცევა იქნება დღესვე დავიწყოთ შესყიდვა, რაც დღესვე გააძვირებს მას და არა ორი თვის შემდეგ).

აქედან გამომდინარე, ბაზრის სპეკულიანტებზე გაუფასურების გადაბრალება არ არის მიზანშეწონილი. სპეკულიანტები ბაზარს უტევენ მაშინ, როდესაც სახეზეა ისეთი ცვლილებები ფუნდამენტურ ფაქტორებში, რომელთა რეალიზების შემთხვევაში ქვეყნის ცენტრალური ბანკი არ იქნება მოტივირებული დაიცვას კურსი.

სპეკულიანტთა მოქმედება იწვევს პროცესების მხოლოდ და

მხოლოდ დაჩქარებას და ადრე დაწყებას. საქართველო არ არის გამონაკლისი ამ კუთხით. 90-იან წლებში ლათინური ამერიკის ქვეყნების და სამხრეთ აზიის სავალუტო კრიზისები ამ სცენარით წარიმართა. მაშასადამე, ჩვენი ინტერესის საგანი ძირითადად უნდა იყოს ფუნდამენტურ ფაქტორებში მიმდინარე პროცესები.¹

გაცვლითი კურსის ფორმირების ერთ-ერთი ფაქტორია ეროვნული ფულის მასის დინამიკა (ზრდა ან შემცირება). თუ ქვეყნის ცენტრალური (ეროვნული) ბანკი ზრდის მიმოქცევაში ფულის მიწოდებას, დავუშვათ ქვეყნის საგარეო ვალის ზრდის გამო, ხოლო შიდა სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის შემოდიანების მასშტაბი უცვლელია ან მცირდება, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი, ცხადია, დაეცემა და პირიქით.

ეროვნული ვალუტის მასის მკვეთრი ზრდაა, როდესაც ადგილობრივი წარმოების მოცულობა ნელა მატულობს ან საერთოდ არ იზრდება, ინვეს ინფლაციის (ფასების ზრდის) ტემპის მატებას. რაც უფრო მაღალია ინფლაცია მოცემულ ქვეყანაში სხვა ქვეყნებთან შედარებით, მით უფრო ნაკლებია ამ ქვეყნის ვალუტის ყიდვითუნარიანობა და შესაბამისად მისი გაცვლითი კურსი სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ.

გაცვლითი კურსის დონე ბევრადაა დამოკიდებული ქვეყანაში სავალუტო რეგულირებაზე, კერძოდ იმაზე თუ რამდენად ერევა ცენტრალური (ეროვნული) ბანკი კურს-წმომქმნის პროცესში.

1997 წლიდან საქართველოში ამოქმედდა მართვადი მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი, რომლის პირობებში გაცვლითი კურსის განსაზღვრა ხდება საბაზრო ძალების მიხედვით - მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთქმედებით. აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად ედო როგორც თეორიული მოსაზრებები, ასევე სხვა ქვეყნების გამოცდილება, რომელმაც აჩვენა რომ ჩვენი ქვეყნის მსგავსი ნეობისთვის მცურავ გაცვლითი კურსის რეჟიმს უფრო მეტი უპირატესობა გააჩნია ვიდრე ფიქ-

¹ „უცხოური ვალუტა და სავალუტო ბაზარი“, ინტერნეტიდან სტატია, <https://gfsis.org>

სირებულ რეჟიმს.

ქვეყნისთვის ფიქსირებული კურსის რეჟიმი ან საერთო ვალუტის შემოღება ოპტიმალური გამოსავალია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იძლევა მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტურობის მიღწევის საშუალებას. იმისათვის რომ ეს პირობა რეალურად განხორციელდეს, საჭიროა, რომ მონაწილე ქვეყნებს შორის არსებობდეს კაპიტალისა და შრომის რესურსების მობილურობა, რისკის გაზიარების პრინციპი და ერთნაირი ბიზნეს ციკლები. საქართველოსა და აშშ-ს შემთხვევაში კი ეს წინაპირობები არ არის და შესაბამისად არის საფუძველი იმისა, რომ ფიქსირებული კურსის რეჟიმი გახდეს ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი ერთ-ერთი მიზეზი.

აშშ საქართველოს ერთ-ერთი მსხვილ სავაჭრო პარტნიორია, თუმცა ჩვენი ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის ურთიერთობებში ვრცელდება ბევრს სხვა ქვეყანაზე, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა ვალუტები და გაცვლითი კურსის რეჟიმები. შესაბამისად, ლარის კურსის დოლარზე მიბმა გამოიწვევს მის ფიქსირებას ერთი ვალუტის მიმართ და დარჩება ცვალებადი სხვა ვალუტების მიმართ. აქედან გამომდინარე ლარის კურსის დაფიქსირება პრაქტიკულად შეუძლებელია. 1990-იანი წლების ბოლოს აზიის კრიზისმა აჩვენა, რომ დოლარის კურსის გამყარებამ გამოიწვია მასზე მიბმული ვალუტების გამყარებაც სხვა ვალუტების მიმართ, რომლებიც არ იყვნენ დამოკიდებული დოლარზე. წამყვანი ვალუტის გამყარების შედეგად შემცირდა მასზე მიბმული ქვეყნების კონკურენტუნარიანობა სხვა ქვეყნებთან მიმართებაში და გამოიწვია ექსპორტის ვარდნა და იმპორტის მატება, რაც იწვევს სავაჭრო ბალანსის გაუარესებას. მსგავსმა პრობლემამ იჩინა თავი როგორც ბალტიისპირეთის, ასევე ლათინოამერიკის ზოგიერთ ქვეყნებშიც. ფიქსირებული გაცვლითი კურსის არსებობის პირობებში, მსგავსი რისკის წინაშე დადგება საქართველოც, როცა რეალური გაცვლითი კურსის გამყარება არ იქნება მხარდაჭერილი ქვეყანაში მიმდინარე ფაქტორებით.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ფიქსირებული გაცვლითი

კურსის პირობებში ფერხდება ეფექტიანი და დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა. მაგალითად, რეცესიული ეკონომიკის პირობებში, როდესაც საჭიროა ეკონომიკის ნახალისება და ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკის გატარება, როგორც ეს საქართველოში მოხდა 2008-2009 წლებში, დოლარზე მიბმული კურსის არსებობა შეზღუდვად ეროვნული ბანკისა თუ მთავრობის ღონისძიებების არეალს და შეამცირებდა მონეტარული პოლიტიკის მნიშვნელობას, რადგან პრაქტიკულად შეუძლებელია ერთდროულად ორ აგრეგატზე - ფულის მიწოდებასა და გაცვლით კურსზე ზემოქმედება. გარდა ამისა, როცა საქართველო და აშშ იმყოფება ბიზნეს ციკლის სხვადასხვა ეტაპზე, მათი ეკონომიკებისთვის მიზანშეწონილია სხვადასხვა სახის მონეტარული პოლიტიკის გატარება. მაგალითად, თუ ამერიკაში არის რეცესია და ტარდება ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკა, იგი ავნებს საქართველოს ეკონომიკას, როცა ის გაფართოების სტადიაზეა.

გარდა ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებებისა, ფიქსირებული კურსის რეჟიმი ხელს უწყობს გარე (ეგზოგენური) ინფლაციის იმპორტირებას ქვეყანაში და კიდევ უფრო ამწვავებს ეგზოგენური ფაქტორებით გამოწვეულ კრიზისებს, მაშინ როდესაც მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი გარე შოკების შემწოვი ერთ-ერთი საშუალებაა და ავტომატური მასტაბილიზირებელის როლს თამაშობს. მაგალითად, 2010 წელს დაფიქსირებული ფასების მატება, რაც ძირითადად გარე მიწოდების ფაქტორებით იყო გამოწვეული, კიდევ უფრო გამწვავდებოდა ფიქსირებული კურსის პირობებში. ეგზოგენური ფასების მატება იწვევს ქვეყნის იმპორტის შემცირებას, რაც ეროვნულ ვალუტას ამყარებს და ნაწილობრივ ანეიტრალებს იმპორტირებულ ინფლაციას.

ზემოთ განხილული ფაქტორებიდან გამომდინარე, ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმი შეიძლება გახდეს ეკონომიკის ზრდის შემაფერხებელი ერთ-ერთი ფაქტორი და, შესაბამისად, არასასურველია საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის.

გაცვლით კურსზე დიდ ზემოქმედებას ახდენს მოსახლე-

ობისა და მენარმეების მოლოდინი. მოლოდინები ვალუტის მოკლევადიან კურსთან მიმართებაში დიდ როლს თამაშობენ. როდესაც ლარის გაუფასურების ტენდენცია შეინიშნება, მოსახლეობა კიდევ უფრო დიდ გაუფასურებას ელის, წინასწარ ყიდულობს უცხოურ ვალუტას, როგორც წესი დოლარს, დოლარზე მოთხოვნის ხელოვნური ზრდა, ვალუტას კიდევ უფრო აძვირებს. ზუსტად იგივე ხდება საპირისპირო შემთხვევაში. ლარის გამყარების მოლოდინში, მოსახლეობა იშორებს დოლარს და მცირე დროით ლარი კიდევ უფრო მყარდება.

სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში სავალუტო რყევები გავლენას ახდენს ლარის სიმყარეზე. მაგალითად, ლარის კურსის ვარდნის გაღრმავებას 2015-2016 წლების მიჯნაზე დიდად შეუწყო ხელი რუსეთში, თურქეთსა და აზერბაიჯანში განვითარებული მოვლენების ერთობ უარყოფითმა აღქმამ საქართველოში. მოგვიანებით, როდესაც აღნიშნულ ქვეყნებში მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, მათ შორის ნავთობის მსოფლიო ფასების ზრდის ფონზე, ეს უარყოფითი მოლოდინი მნიშვნელოვნად გაქარწყლდა, რამაც ხელი შეუწყო ლარის გამყარების ტენდენციას.

ლარის მკვეთრად გამყარება ან მკვეთრად გაუფასურება, ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებისათვის უფრო მეტად უარყოფითი შედეგების მომტანია ვიდრე დადებითი. შესაბამისად, მონეტარულმა ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ კურსი სტაბილურ ნიშნულზე შენარჩუნდეს.

ზოგადად გაცვლითი კურსის ცვლილება პირდაპირ ზეგავლენას ახდენს მომხმარებლებზე, რადგან ინვევს ფასების ცვლილებას უცხოურ საქონელზე. ლარის კურსის დაცემა ინვევს იმპორტირებული საქონლის გაძვირებას და ზრდის დანახარჯებს უცხოური ნედლეულის შეძენაზე. ეროვნული ვალუტის კურსის დაცემისას მომხმარებლები ამცირებენ უცხოური საქონლის შეძენას და ზრდიან სამამულო საქონლის მოხმარებას, თუმცა იმის გამო, რომ საქართველოში ნაწარმოები პროდუქციის აბსოლუტურ უმრავლესობას არ გააჩნია ე.წ. შედარებითი უპირატესობა, ანუ საქონელი აწარმოოს უფრო ნაკლები ალტერნატიული დანა-

ხარჯით, ვიდრე ეს მეზობელ ქვეყნებს შეუძლიათ, ზემოაღნიშნული თეორია სრული მასშტაბით არ მოქმედებს, რადგან ქართული პროდუქცია იმპორტირებულს საფასო კონკურენციას ვერ უწევს და მომხმარებლები ადვილად ვერ ანაცვლებენ იაფ უცხოურს ძვირი ადგილობრივი პროდუქციით.

საპირისპირო შემთხვევაში, ეროვნული ვალუტის კურსის განმტკიცება ნიშნავს, რომ საექსპორტო საქონელი საზღვარგარეთ უფრო ძვირი ელირება, ე.ი. უცხოელები ნაკლებად შეიძენენ მათ. მტკიცე ეროვნული ვალუტა სასურველია იმიტომ, რომ ქვეყანაში იაფდება უცხოური საქონელი, თუმცა ამით ვნებს ადგილობრივ ბიზნესს და სამამულო საქონლის, როგორც საზღვარგარეთ, ისე ქვეყნის შიგნით გაყიდვის შემცირების შედეგად ამცირებს სამუშაო ადგილების რაოდენობას. დანამდვილებით შეიძლება ითქვას ის, რომ სავალუტო ბაზარზე სავალუტო კურსის მერყეობას სერიოზული შედეგები მოაქვს ქვეყნის ეკონომიკისათვის, რაც შეიძლება იყოს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, ხოლო რომელი უფრო მეტად, ეს ქვეყნის ეკონომიკურ კონიუნქტურაზე და მოწყობაზეა დამოკიდებული.

სავალუტო კურსის რეგულირების პრობლემის გადასაჭრელად, მნიშვნელოვანია შემდეგი გზების დასახვა:

მართალია ეროვნული ბანკი გადანყვევტილებების მიღების დროს მოქმედებს ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის ინტერესებიდან გამომდინარე, თუმცა უმჯობესი იქნებოდა, რომ მისი მიდგომა ყოფილიყო პრობიზნესური, ვინაიდან სწორედ წახალისებული ბიზნესი და ამის საფუძველზე გაზრდილი ექსპორტი არის ქვეყნის გრძელვადიანი კეთილდღეობის გარანტი, სწორედ ეს არის ის ფუნდამენტური ფაქტორი, რაც კურსის გრძელვადიან პერსპექტივაში სტაბილურობას განაპირობებს.

კურსის სტაბილურობასთან დაკავშირებით, გრძელვადიან პერიოდში, ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა ეკონომიკური ზრდა, ხოლო მოკლევადიან და საშუალოვადიან პერსპექტივაში კურსზე მოქმედი საკმაოდ ძლიერი იარაღია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წარმოებული მონეტარული პოლიტიკა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ფასების სტაბილურობა.

დასკვნა

ვალუტის კურსზე მოქმედი ფაქტორების კვლევის შედეგად შეგვიძია ვთქვათ, რომ კურსის მერყეობის გამომწვევი მიზეზი არის სავაჭრო ბალანსის, ინვესტიციების, ფულადი გზავნილების, ტურიზმიდან შემოსავლების სიმცირე, ასევე, დამოკიდებულება ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გატარების შედეგებზე.

სავალუტო კურსის ფორმირება შეიძლება მოხდეს, შემდეგი პირობების დაცვის შემთხვევაში:

ლარის კურსის სტაბილიზაციაში ხელისუფლებას განსაკუთრებული როლი ეკისრება, რაც ადგილობრივი წარმოების აღორძინებასა და ექსპორტზე ორიენტირებული დარგების წახალისებაში მდგომარეობს, რათა ქვეყანაში მნიშვნელოვნად შემცირდეს სავაჭრო დეფიციტი;

ეროვნული ვალუტის სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველყოს მიზნით, ჩვენს ქვეყანას აქვს რეალური პოტენციალი მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები. ინვესტორებს ჭირდებათ მყარი გარანტიები, რომ მოახდინონ გრძელვადიანი ინვესტირება ქვეყანაში და ეს გარანტიები თავის მხრივ მოიცავს საკანონმდებლო და სასამართლო სისტემის მოწესრიგებას, სახელმწიფო რეგულაციების შერბილებას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, საექსპორტო პოტენციალის ზრდას, სამუშაო ძალის ხარისხის გაუმჯობესებას და ფინანსური ბაზრების განვითარებას. ამ მიმართულებით განხორციელებული ცვლილებები კი თავისთავად, სახელმწიფოს ვალდებულებაა.

სავალუტო კურსის სიმყარე დამოკიდებულია მონეტარული და ფინანსური ბაზრის განვითარების დონეზე. ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდა - მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურად განვითარებისათვის და ეკონომიკური სისტემის მდგრადობისათვის.

ლიტერატურა:

1. ანგურიძე ო. დოღონაძე ი. ჭარაია ვ. „საქართველოს ეროვნული ვალუტის უსაფრთხოების პრობლემა და თანამედროვე გამოწვევები“, გამომცემლობა „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2015 წ.

2. კაკულია მ. „უცხოური ვალუტა და სავალუტო ბაზარი“, ინტერნეტიდან სტატია, <https://gfsis.org>

REFERENCES:

1. Anguridze O. Dogonadze I. Charaia V. „The problem of safety of national Georgian currency and modern challenges“, publishing house „Tbilisi University Press“, 2015.

2. Kakulia M. „Foreign currency and exchange market“, the paper from the Internet, <https://gfsis.org>

FACTORS INFLUENCING ON THE EXCHANGE RATE

Salome Sulaberidze,

PhD Student of

Batumi Shota Rustaveli State University,

RESUME

The article deals with the major factors impacting and causing the national currency exchange rate fluctuation, as well as its negative results for the country's economy. The importance of the floating rate of exchange for Georgia is also explained in this work. Moreover, it is analyzed that clear strengthening or devaluation of Georgian Lari causes more negative results than the positive ones. Accordingly, the monetary government shall care about the stable rate exchange. The ways, resolving the problem and recommendations are also presented in the paper.

Key words: National currency; exchange rate ; export; import; currency devaluation; budget.